

საბანკო მომსახურების პირობების მუხვი 3.13

3.13 დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით გაცემული სამომხმარებლო კრედიტი

3.13.1 ტერმინთა განსაზღვრებები: 3.13. პუნქტში მოყვანილი სიტყვები შემდეგნაირად განიმარტება:

სამომხმარებლო კრედიტი დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ბანკის მიერ დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით კლიენტისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრები;

სამომხმარებლო კრედიტის თანხა ბანკსა და კლიენტს შორის დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით შეთანხმებული თანხა;

კრედიტის მომსახურება ანგარიში ბანკში არსებული მიზნობრივი ანგარიში, რომელიც ბანკის მიერ გამოიყენება სამომხმარებლო კრედიტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების წარმოებისთვის;

პირბასამტმსლო (ჰარიმა) ხელშეკრულებითა და დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით კლიენტის მიერ ნაკისრი ფინანსური ან/და სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯერონად შესრულებისათვის გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ხელშეკრულების საშუალებით და რომლის კონკრეტული პირობებიც ბანკსა და კლიენტს შორის თანხმდება დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით;

საკომისიო ხელშეკრულების ფარგლებში და მის შესაბამისად ბანკის მიერ სამომხმარებლო კრედიტით სარგებლობისათვის კლიენტისათვის დაწესებული გადასახადი, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ხელშეკრულებით და რომლის კონკრეტული პირობებიც ბანკსა და კლიენტს შორის თანხმდება დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით;

საპროცენტო სარგებელი ხელშეკრულების ფარგლებში და მის შესაბამისად ბანკის მიერ სამომხმარებლო კრედიტით სარგებლობისათვის დაწესებული ბანკისათვის გადასახდელი სარგებელი, რომელიც, როგორც წესი, დაინგარიშება შესაბამისი ათვისებული თანხის ფიქსირებული ან ცვალებადი პროცენტული მაჩვენებლით და რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ხელშეკრულებით და რომლის კონკრეტული პირობებიც ბანკსა და კლიენტს შორის თანხმდება დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით;

3.13.2 მხოლოდ ბანკის მიერ განხორციელებული შთავაზების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით გაცემული სამომხმარებლო კრედიტით სარგებლობისას კლიენტს შესაძლებლობა ეძლევა დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით, შესაბამისი ფვლიმის კომპონენტის გამოყენებით, მიიღოს სამომხმარებლო კრედიტი მაქსიმუმ შემდეგი პირობებით:

- სამომხმარებლო კრედიტის მოცულობა და ვალუტა: მაქსიმუმ 10 000 ლარი ან მისი ეკვივალენტი სხვა ვალუტაში;
- სამომხმარებლო კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი: მაქსიმუმ 48%;
- სამომხმარებლო კრედიტის მოქმედების ვადა: მაქსიმუმ 36 თვე;
- სამომხმარებლო კრედიტის თანხის ათვისების საკომისიო: მაქსიმუმ 2%, მინიმუმ 30 ლარი;
- ათვისებულ სამომხმარებლო კრედიტის თანხაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდის პერიოდულობა: ყოველთვიური;
- პირბასამტმსლო სამომხმარებლო კრედიტის თანხის ან/და საპროცენტო სარგებლის ვადაზე დაფარვისათვის: მაქსიმუმ 2%;
- პირბასამტმსლო ათვისებული სამომხმარებლო კრედიტის თანხის(მბ)ის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის: მაქსიმუმ 0.5%;

3.13.3 სამომხმარებლო კრედიტთან დაკავშირებული ურთიერთობა რეგულირდება წინამდებარე პირობებით;

3.13.4 საპროცენტო სარგებელი, საკომისიო და მათი დაანგარიშებისა და დარიცხვის წესი:

- საპროცენტო სარგებლისა და საკომისიოს მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით, ხოლო თითოეული სამომხმარებლო კრედიტის კონკრეტული საპროცენტო სარგებელი და საკომისიო ბანკსა და კლიენტს შორის თანხმდება დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით;
- საპროცენტო სარგებელი ანგარიშება ხელშეკრულებით განსაზღვრული სამომხმარებლო კრედიტით სარგებლობის ფაქტობრივი დღეების შესაბამისად წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთ) დღეზე გაანგარიშებით;
- საკომისიოს ოდენობა ანგარიშება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და პერიოდულობით. მათ შორის, თუ გათვალისწინებულია წლიური საკომისიო, მაშინ მისი დაანგარიშება მოხდება საპროცენტო

- სარბმულის დანგარიშებისათვის გათვალისწინებული წესით, ხოლო სხვა შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა წესით;
- თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, საპროცენტო სარბმულის (როგორც მიუღებელი სარგებლის) დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება სამომხმარებლო კრედიტის დაფარვის ვადაგადაცილების შემთხვევაშიც, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედებისა ან სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა, სამომხმარებლო კრედიტის იძულებითი ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე;
- 3.13.5 პირბასამტხლო (ჯარიმა) სამომხმარებლო კრედიტით სარგებლობის პირობების დარღვევისათვის და მისი დარიცხვის წესი:
- პირბასამტხლოს მაქსიმალური ოდენობა სამომხმარებლო კრედიტით სარგებლობის პირობების დარღვევისათვის განისაზღვრება ხელშეკრულებით, ხოლო თითოეული სამომხმარებლო კრედიტის პირბასამტხლოს კონკრეტული ოდენობა ბანკსა და კლიენტს შორის თანხდება ღისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით;
 - თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს პირბასამტხლო შემდეგ შემთხვევებში: ა) სამომხმარებლო კრედიტის თანხის ან/და საპროცენტო სარბმულის დადგენილი ოდენობით და ვადაში გადაუხდელობისათვის; ბ) სამომხმარებლო კრედიტის თანხის ან/და საპროცენტო სარბმულის დადგენილ ვადაზე წინსწრებით გადახდისათვის; გ) ხელშეკრულებით დადგენილ სხვა შემთხვევებში;
 - თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პირბასამტხლოს დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება სამომხმარებლო კრედიტის დაფარვის ვადაგადაცილების შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედებისა ან შეწყვეტისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების იძულებითი ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე;
 - ბანკს აქვს ხელმოწერით, აგრეთვე ღისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით, კლიენტი ადასტურებს/დაადასტურებს, რომ ის აცნობიერებს და ეთანხმება ხელშეკრულებით დადგენილი პირბასამტხლოს არსებობას და მის ოდენობას და რომ ის არ არის შეუსაბამოდ მაღალი პირბასამტხლო;
 - პირბასამტხლოს გადახდა არ ათავისუფლებს კლიენტს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (გადასახდლების) შესრულებისაგან (გადახდისაგან);
- 3.13.6 სამომხმარებლო კრედიტის თანხის, საპროცენტო სარბმულის, საკომისიოს, პირბასამტხლოსა (ჯარიმის) და სხვა გადასახდლების გადახდის წესი:
- კლიენტი ცალსახად აცხადებს თანხმობას სამომხმარებლო კრედიტის თანხის, საპროცენტო სარბმულის, საკომისიოს, პირბასამტხლოსა და სხვა გადასახდლების გადახდის შემდეგ თანამიმდევრობაზე: პირველ რიგში, იფარება საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ პირბასამტხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარბმული, შემდეგ სამომხმარებლო კრედიტის თანხა და ბოლოს სხვა გადასახდლები. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებით;
 - სამომხმარებლო კრედიტის თანხის, საპროცენტო სარბმულის ან/და პირბასამტხლოს დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულებით დადგენილი წესით და შესაბამისად. ბანკის მიერ კლიენტზე შესაძლოა გაიკეთოს გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტს, რომლის შესაბამისადაც კლიენტი მოახდენს სამომხმარებლო კრედიტის თანხისა და საპროცენტო სარბმულის გადახდას. კლიენტის მიერ ბანკის მიმართ წარდგენილი ზეპირი ან წერილობითი განცხადების საფუძველზე მხარეთა შეთანხმებით სამომხმარებლო კრედიტის თანხა და საპროცენტო სარბმული შეიძლება წინსწრებით დაიფაროს გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაზე ადრეც;
 - სამომხმარებლო კრედიტის თანხის, საპროცენტო სარბმულისა და პირბასამტხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს იმავე ვალუტაში, რა ვალუტაშიც დამტკიცებულია სამომხმარებლო კრედიტი, ხოლო აღნიშნული მიზნით თანხის კონვერტაციის აუცილებლობის შემთხვევაში კონვერტაცია უნდა განხორციელდეს კლიენტის ხარჯზე კონვერტაციის თარიღისათვის ბაზში დაწესებული კომერციული კურსით;
 - კლიენტის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია ბანკსა და კლიენტს შორის ღისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით შეთანხმებულ თარიღში, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. ამასთან, თუ ამგვარი მომდევნო საბანკო დღე არის (ემთხვევა) საანგარიშო თვის მომდევნო თვეში, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს ბანკსა და კლიენტს შორის ღისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით შეთანხმებული თარიღის წინა საბანკო დღეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კლიენტი არ იხდის პირბასამტხლოს გადასახდელის ვადაზე გადახდისათვის;
 - კლიენტი ასევე ადასტურებს და აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ამგვარი ვალდებულების სრულად ან ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- ა) კლიენტის შემდგომი დამატებითი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე მასთან არსებული წესების დაცვით განხილავს კრედიტის მომსახურებას ან/და კრედიტის მომსახურებას ანგარიშად გამოიყენოს კლიენტის ნებისმიერი სხვა არსებული ანგარიში;

- ბ) კლიენტის ნებისმიერი სახის ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ხელშეკრულებით და ბანკსა და კლიენტს შორის დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით შეთანხმებულ ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და ანგარიშ(ებ)ზე დარიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი უფლებამოსილია თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად;
- გ) ისარგებლოს ხელშეკრულებით ან/და ბანკსა და კლიენტს შორის დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით შეთანხმებული სხვა უფლებებით;
- 3.13.7 სამომხმარებლო კრედიტით სარგებლობის დამატებითი პირობები:
- იმ შემთხვევაში, თუ სამომხმარებლო კრედიტის თანხის მოცულობა დამტკიცებულია ერთ რომელიმე ვალუტაში და შესაბამისი სამომხმარებლო კრედიტის თანხის ან მისი ნაწილის გაცემა ხდება სხვა ვალუტაში, სავალუტო კურსის ცვლილების გამო სამომხმარებლო კრედიტის თანხის მოცულობის გადაჭარბება არ ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების ან/და ბანკსა და კლიენტს შორის დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით შეთანხმებული პირობების დარღვევად და კლიენტი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;
 - ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად განაცხადოს უარი სამომხმარებლო კრედიტის თანხების ან მის ნაწილის გაცემაზე, თუკი კლიენტის ქონებაზე ან/და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე (მათ შორის, ანგარიშ(ებ)ზე) აღრიცხულია (რეგისტრირებულია) რაიმე სახის შეზღუდვა, მათ შორის, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა;
- 3.13.8 ზოგადი დებულებები
- ამ პირობების სხვა მუხლების დებულებები შეეხება 3.13. მუხლის პირობებს. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად ამგვარი მუხლები გულისხმობს მე-4 მუხლს (კლიენტის განცხადებები), მე-6 მუხლსაც (გადასახადები), მე-7 მუხლს (ძალაში შესვლის თარიღი და ვადა), მე-8 მუხლს (მარეგულირებელი კანონმდებლობა და დაკების გადაწყვეტა), მე-9 მუხლს (ინფორმაციის გამოყენება და გაცვლა/კონფიდენციალურობა) და მე-10 მუხლს (ზოგადი დებულებები);

სტანდარტული სახელშეკრულებით ინფორმაცია
საბანკო მომსახურების ხელშეკრულების
დანართი

- ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ და ცალმხრივად:
 - შეცვალოს საბანკო პროდუქტის მოცულობა;
 - შეამციროს ხელშეკრულებით დადგენილი საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა(ები);
 - გაზარდოს ხელშეკრულებით დადგენილი საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა(ები) არაუმეტეს არსებული განაკვეთის 1/4 (ერთი მეოთხედის) ოდენობით;
 - შეცვალოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში;
 - შეცვალოს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული გადახდის ვადა/ვადები, იმ პირობით, რომ ამგვარი ცვლილების შედეგად გადახდის ვადა/ვადები უნდა შეიცვალოს არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით;
 - შეცვალოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები;
 - დაადგინოს ხელშეკრულებით ან/და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული საბანკო პროდუქტებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკომისიოს ტიპები ან/და მათი განაკვეთ(ებ)ის ოდენობა.
- ბანკის მიერ ზემოაღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევაში:
 - თუ ასეთი გადაწყვეტილება აუარესებს კლიენტის/მსესხებლის მდგომარეობას, მაშინ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესახებ ბანკი ცვლილების ძალაში შესვლის თარიღამდე არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, ხოლო თუ ცვლილება ეხება ხელშეკრულებით დადგენილი საპროცენტო სარგებლის განაკვეთს – არანაკლებ ერთი თვით ადრე, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (რომლებიც ერთმნიშვნელოვნად მოიცავს: კურიერის ან რეგისტრირებული ფოსტის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, ასევე დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებებით შეტყობინების გაგზავნას კლიენტის/მსესხებლის მიერ გაცხადებულ მისამართზე) ატყობინებს კლიენტს/მსესხებელს. კლიენტი/მსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი სახით უარი განაცხადოს ამგვარ ცვლილებაზე, და ასეთ შემთხვევაში, ცვლილება არ შევა ძალაში, ხოლო კლიენტი/მსესხებელი ვალდებულია წერილობითი უარის თარიღიდან მომდევნო 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში (ან ბანკთან შეთანხმებულ სხვა ვადაში) დაფაროს ხელშეკრულებით ან/და შესაბამისი მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ბანკის წინაშე არსებული დავალიანება იმ პირობით, რომ კლიენტს/მსესხებელს არ დაეკისრება დავალიანების ვადამდე დაფარვის პირგასამტეხლო. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი/მსესხებელი არ ისარგებლებს ამ უფლებით, ამგვარი ცვლილება ძალაში შევა ბანკის შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან;
 - თუ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია კლიენტის/მსესხებლის სასარგებლოდ, ან/და არ აუარესებს კლიენტის/მსესხებლის მდგომარეობას, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს კლიენტის/მსესხებლის დამატებით თანხმობას ან აქცეპტს და ამ სახით შეცვლილი პირობები ამოქმედდება ბანკის მიერ განსაზღვრული თარიღიდან. ამასთან, ბანკი ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში შეატყობინოს კლიენტს/მსესხებელს ხელშეკრულებით დადგენილი წესით ან/და ბანკის სერვის ცენტრებში ან/და სხვა მომსახურების წერტილებში შესაბამისი განცხადების განთავსებით.
- ბანკის მიერ ზემოაღნიშნული უფლების გამოყენებისას, იგი მხედველობაში მიიღებს ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის დონეს, სამომხმარებლო ფასებს, სამეწარმეო აქტიურობის ინდექსებს, სხვა გლობალური ან/და რეგიონალური ხასიათის სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, ასევე კლიენტთან/მსესხებელთან საკრედიტო ურთიერთობის ისტორიას.
- ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა

მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

- ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ვადად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:
 - ბანკის მიერ:
 - თუ კლიენტი სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს ხელშეკრულებით და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას;
 - ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყებისას ან დადგომისას, რითაც საფრთხე შეექმნება კლიენტის ან/და უზრუნველყოფის საგნის სხვა მესაკუთრ(ებ)ის აქტივებს/ქონებას ან/და მის (მათ) საქმიანობას, ან/და თუ ბანკისთვის საეჭვო გახდება კლიენტის ან/და უზრუნველყოფის საგნის სხვა მესაკუთრ(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება;
 - კლიენტის მიერ არ ხდება საბანკო პროდუქტებით სარგებლობა 1 (ერთი) კალენდარული წლის, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში;
 - თუ კლიენტი სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს ბანკთან გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებით ან/და სხვა დოკუმენტით ნაკისრ ვალდებულებებს.
 - კლიენტი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ:
 - კლიენტს არ გააჩნია ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე რაიმე სახის შეუსრულებელი/შესასრულებელი ვალდებულება ბანკის მიმართ.
 - მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
 - ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ამასთან, თუ ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულება შესაძლებელია ან უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადაში, ან/და ბანკს მიზანშეწონილად მიაჩნია ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის უფრო მოკლე ვადაში შეწყვეტა, ხელშეკრულება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ი შეიძლება უფრო მოკლე ვადაშიც შეწყდეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კლიენტი იღებს ვალდებულებას კანონმდებლობით ნებადართულ ფარგლებში ითანამშრომლოს ბანკთან ამგვარი შეწყვეტის შედეგად ბანკისათვის შესაძლო ზიანის (ზარალის) მიყენების თავიდან ასაცილებლად ან მაქსიმალურად შესამცირებლად.
- პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ბანკის სერვის-ცენტრებში (ფილიალებში), ხოლო პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც ბანკის სერვის-ცენტრებში (ფილიალებში), ასევე ბანკის ვებ-გვერდზე. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ზეპირი ან სტანდარტული წერილობითი ფორმით. პრეტენზიაზე პასუხის მიღებისათვის განსაზღვრული მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.

შენიშვნა:

- წინამდებარე დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება ხელშეკრულების ის ნორმები რომლებიც წინამდებარეობაში არ მოდის წინამდებარე დანართთან.